



# შირაქი

## SHIRAKI

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№10 (9.575)

23-30 მარტი 2013 წელი

უასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## თავისუფალი მედია ქვეყნის სარკეა...



ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე“. თავისუფალი მედია ქვეყნის სარკეა, ნუ იტყვი, ბატონებო, უარს სარკეში ჩახედვაზე!

### 21 მარტი — ქართული ჟურნალისტიკის დღეა!

ტიკა არაერთხელ მოეცა გარკვეული წინგის ქვეშ, მათ შორის წინა ხელი-სუფლების პირობებშიც... წინასწარჩვენო კამპანიის დროს ამ პროცესმა შეუქცევადი სასიათი მიიღო და ე. წ. „თევზების დაპატიმრებით“ აღინიშნა. მანამდე კი იყო ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა და „ფოტორეპორტიორთა საქმე“, რომელმაც არსებულ ხელისუფლებას იმიჯი არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც შეურყია, საბოლოოდ კი მისი მმართველობის დასასრულიც გამოიწვია. ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ჩვენი ქვეყნის უგვირგვინო მეფემ ილია ჭავჭავაძემ გააცნობიერა გზებისა და პუბლიცისტიკის როლი და არაერთხელ გამოხატა თავისი დამოკიდებულება პრესის თავისუფლების თაობაზე: „მწერლობას მოსპობილი აქვს ყოველი გზა და სახსარი გაცხობილებისა... თავისუფლად თავის აზრისა და შეხედულების გამოთქმისა“, „სხვა ქვეყნებში, სადაც კი ბეჭდვის სიტყვის, ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოთ ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა ცოტათი მაინც ესმით, რაც უნდა უზრალო გაზეთის კორრესპონდენტი და თანამშრომელი იყოს, თავს ევლებიან, ხელზე ატარებენ, ეფუფუნებიან...“ აღნიშნავს ილია და დაამატებს, რომ მედიას საზოგადოებრივი აზრის წარმართვა ხელეწიფება. ამდენად მას, „წმინდა მისია“ აკისრია, რაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც ანიჭებს. „დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაყაყობაა, შუა ჩადგომა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდება...“ ჩვენი, დედოფლისწარმოელი ჟურნალისტების სათქმელიც ესაა, ვიყოთ მედიატორები ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და ყოველთვის მივანოდით მოსახლეობას ობიექტური ინფორმაცია, ასევე შევთავაზოთ ანალიტიკური სტატიები იმ თემებზე, რომლისადმი ინტერესიც სწორედ მოსახლეობიდან მოდის. ბოლოს კი ჩვენს სათქმელს ისევ ილიას სიტყვებით გეტყვი: „წარსულმა დრომა მრავალჯერ და-

დემოკრატიის უმთავრესი ღირებულება, სიტყვისა და აზროვნების თავისუფლებაა. უკვე ათეული წლებია, საქართველოში ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს და ხალხის მოთხოვნაც სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებასთან ერთად თავისუფალი, შეუზღუდავი მედია-სამუშაოებებია. მოსახლეობის ერთ-ერთი დაკვეთა სწორედ მედია-სამუშაოებებიდან ჯანსაღი აზრის მოსმენაა. თავისუფალი ჟურნალის-

ტიკა არაერთხელ მოეცა გარკვეული წინგის ქვეშ, მათ შორის წინა ხელი-სუფლების პირობებშიც... წინასწარჩვენო კამპანიის დროს ამ პროცესმა შეუქცევადი სასიათი მიიღო და ე. წ. „თევზების დაპატიმრებით“ აღინიშნა. მანამდე კი იყო ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა და „ფოტორეპორტიორთა საქმე“, რომელმაც არსებულ ხელისუფლებას იმიჯი არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც შეურყია, საბოლოოდ კი მისი მმართველობის დასასრულიც გამოიწვია. ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ჩვენი ქვეყნის უგვირგვინო მეფემ ილია ჭავჭავაძემ გააცნობიერა გზებისა და პუბლიცისტიკის როლი და არაერთხელ გამოხატა თავისი დამოკიდებულება პრესის თავისუფლების თაობაზე: „მწერლობას მოსპობილი აქვს ყოველი გზა და სახსარი გაცხობილებისა... თავისუფლად თავის აზრისა და შეხედულების გამოთქმისა“, „სხვა ქვეყნებში, სადაც კი ბეჭდვის სიტყვის, ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოთ ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა ცოტათი მაინც ესმით, რაც უნდა უზრალო გაზეთის კორრესპონდენტი და თანამშრომელი იყოს, თავს ევლებიან, ხელზე ატარებენ, ეფუფუნებიან...“ აღნიშნავს ილია და დაამატებს, რომ მედიას საზოგადოებრივი აზრის წარმართვა ხელეწიფება. ამდენად მას, „წმინდა მისია“ აკისრია, რაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც ანიჭებს. „დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაყაყობაა, შუა ჩადგომა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდება...“ ჩვენი, დედოფლისწარმოელი ჟურნალისტების სათქმელიც ესაა, ვიყოთ მედიატორები ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და ყოველთვის მივანოდით მოსახლეობას ობიექტური ინფორმაცია, ასევე შევთავაზოთ ანალიტიკური სტატიები იმ თემებზე, რომლისადმი ინტერესიც სწორედ მოსახლეობიდან მოდის. ბოლოს კი ჩვენს სათქმელს ისევ ილიას სიტყვებით გეტყვი: „წარსულმა დრომა მრავალჯერ და-

## გამგებლის მილოცვა ჟურნალისტებისადმი

„საქართველოში მოღვაწე თითოეულ ჟურნალისტს გულითადად ვულოცავთ ქართული ჟურნალისტიკის დღეს. თქვენ ქმნით და კვლავაც უნდა შექმნათ მაქსიმალურად ჯანსაღი კრიტიკული გარემო, რაც ჩვენი ქვეყნის ნორმალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. დღევანდელ ხელისუფლებას კარგად აქვს გაცნობიერებული ის პრობლემები, რომელთა წინაშეც რეგიონული მედია დგას. ხელისუფლების უმთავრესი მოვალეობა მედიის თავისუფლების ხარისხსა და გარანტიებზე ზრუნვაა, რადგან დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი და წარმატებული ქვეყანა თქვენი პროფესიული საქმიანობის ღირსეულად წარმართვის გარეშე შეუძლებელია. არაერთხელ აღვნიშნე, რომ ფაქტობრივად არ არსებობს თემა, რომელიც ჩემთვის დახურულია. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ისიც, რომ ორშაბათის თათბირები ილია მედიისთვის. დასამალი არაფერი გვაქვს და, შესაბამისად, არც ჯანსაღი და ობიექტური კრიტიკა გვაშინებს. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტში მოღვაწეობდნენ და დღესაც მოღვაწეობენ პროფესიონალი და კეთილსინდისიერი ჟურნალისტები, რომლებიც ყველა ხელისუფლებისა და რეჟიმის პირობებში სიმართლის მეციხოვნეები იყვნენ. მათი ღვაწლი დაფასებული არ არის. შეუძლებელიცაა იმ ამავის გადახდა, რომელიც მათ რაიონის ყოველდღიური ობიექტურად ასახვასა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისათვის ეკუთვნით. მაგრამ მალე დადგება დრო, როცა ყველას ამავი ჯეროვნად დაფასდება. მთავარია, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის ალორძინებისაკენ ერთსულოვნად ვისწრაფოთ. გილოცავთ და გისურვებთ პროფესიულ წინსვლასა და წარმატებებს. ირაკლი შიოლაშვილი, დედოფლისწარმოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

### მაინც, რა არის ჟურნალისტიკა?

ოდითგანვე ჟურნალისტიკას განსხვავებულ შეფასებას აძლევდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, უინსტონ ჩერჩილი რადიოსა და ტელევიზიას ხალხის გამაბრუებელ სამუშაოებად მიიჩნევდა. ხოლო ნაპოლეონს სასტიკად ემიზონდა გაზეთების, რადგან მასში ხალხის აზრი იყო გამოხატული და საზოგადოებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო. ახლა ჟურნალისტიკის შესახებ რამდენიმე აზრს გაგაცნობთ.

ნაღისტიკა ხელოვნებაა, აუხსნა სხვებს ის, რაც თავადაც ცუდად გეხმის. არტურ სულცერბერგი: „ჩვენ, ჟურნალისტები, ადამიანებს ვეუბნებით საით გადახტა კატა. შემდეგ კი საზოგადოება თავად დაკავდება კატით.“ ანდრე ჟილი: „მე ჟურნალისტიკას ვუნოდებ ყოველივე იმას, რაც ხვალ ნაკლებად საინტერესო იქნება, ვიდრე დღეს.“ ილია ჭავჭავაძე: „პუბლიცისტიკის უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრებაა თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა.“ მეთიუ არნოლდი: „ჟურნალისტიკა ნაჩქარევი ლიტერატურაა.“ კარლ გუტკოვი: „ჟურნალისტიკები დროის ბებიასა და მესაფლავენი არიან.“ დეიმ რებეკა უესტი: „ჟურნალისტიკა ადამიანია, რომელსაც საოცარი უნარი აქვს ყოველდღიური უსასრულობა რაღაცით მაინც შეაგოს.“ ჟარკო პეტანი: „ნათელ მომავალზე პოლიტიკოსები ზრუნავენ, ნათელ წარსულზე — ისტორიკოსები, ნათელ აწმყოზე —

ჟურნალისტები.“ კარლ ჩაპკი: „ჟურნალისტები ერთგვარად დანიელ ქალიშვილებს გვანან, რომლებსაც ღმერთებმა უძირო კასრის წყლით ავსება მოუსაჯეს.“ რობერტ სილვესტერი: „ჟურნალისტიკა ისეთივე ძველი პროფესიაა, როგორც... მოკლედ, ის მეორე უძველესი პროფესიაა.“ „პროზა — ეს სიტყვების საუკეთესო წყობაა, პოეზია — საუკეთესო სიტყვების საუკეთესო წყობა, ჟურნალისტიკა კი კარგად ნაცნობი სიტყვების კარგად ნაცნობი წყობით.“

**ივანიშვილის ჰასხუნი გაზეთ „შირაქს“**  
  
გვ. 5

**„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფლის საერთო კრებები ტარდება**  
გვ. 3

**ბედნიერი ვარ ჩემი წილი სიუჟარულით...**  
  
გვ. 4

**ყველაზე საწოდო წარმოების დედოფლისწარმოი მიწოდების შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- საპარტოლბარივი აქტივია
- აუქციონი
- ტანდარი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ ნაიპოთხავთ!  
[www.dedoplistskaro.ge](http://www.dedoplistskaro.ge)

# ბიძინა ივანიშვილი — უსუფაშვილს მე ვუწიე, რომ იმ ახირებისთვის მხარი დაეჭირა

„ტელეფონით უსუფაშვილს ვესაუბრებოდი. შესვენებაზე მე ვუწიე, რომ იმ ახირებისთვის მხარი დაეჭირა. რატომ უნდა, პოლიტიკურად უფრო კარგი იქნებოდა, რომ არ დამეჩივებოდა, მაგრამ ადამიანურად ჯობდა, რომ არ დაგვეშვა არანაირი გამოხატვის და შემთხვევა იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილება ჩავადნილოყ“ — განაცხადა საქართველოს პრემიერ — მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, დავით უსუფაშვილს „ნაციონალების“ პირობის შესრულება არ სურდა, რადგან სჯეროდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხმების რაოდენობას ამის გარეშე მიიღებდა.

„ძალიან დარწმუნებული იყო და არ ჰქონდა უსუფაშვილს ამის სურვილი იმიტომ, რომ კარგად იგრძნობდა, მაინც მივიღებდით იმ რაოდენობას, რაც საჭირო იყო საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის, მაგრამ მე, რატომღაც ასე ვამჯობინე. ჯერ ერთი იყო პატარა ეჭვი, მერე პრინციპულად ეს ჩვენთვის არაფერს არ ცვლიდა, ცვლიდა მათთვის მხოლოდ, როგორც მათ წარმოედგინათ. მათი ლიდერი ყველაფერს აკეთებდა და იბრძოდა, რომ როგორმე მიეღწია ამ უცნაურობისთვის, რაც აუხსენელია, რად უნდოდათ ღია კარების მტკრევა“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა, საქართველოს პრეზიდენტიც მასავით მოქცეულიყო და საკუთარი გუნდისთვის მოენდებინა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის მხარი ყოველგვარი პირობის გარეშე დაეჭირათ.

„ხმები მისცეს, მაგრამ უმადურად გამოვიდა, მარტივად ვერ მიაყარეს. მათ ლიდერს შეეძლო კაცურად გამოსულიყო, ჩაენადებინა და გაეკეთებინა, ან მათ მოახერხებდა ისევ საზოგადოებასთან დახლოებას. შედეგად გაუგებარი გამოსვლა გააკეთა, აგრესიული, ვილაცას ემუქრება, რაღაცას იმუქრება. შეეძლო „ნაციონალურ მოძრაობას“ მათ ლიდერთან ერთად ფრიალი მიეღო და გაჭირებული სამიანი მიიღეს, გაჭირებული თუ მიიღეს, ისიც პოზიტივია. პოლიტიკური სიბეცე შეიძლება დაფარვით რაც მათ გააკეთეს. გააკეთეს ის, რაც საჭირო იყო, მაგრამ უღამაზოდ, უმადურად გააკეთეს. ხმები მისცეს, რაც ჰქონდათ გასაცემი, ამ საცოდავებმა გასცეს პრინციპში, მაგრამ მაღლი ვერ აიღეს. უკმაყოფილების გრძნობა რომელიც დარჩა საზოგადოებას, დამრჩა მეც. შეიძლება „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ წევრებს და ლიდერს უფრო დიდი დივიდენდები მიეღოთ საზოგადოებისგან, რომ მოქცეულიყვნენ ნორმალურად, ყოფნოდით ვაუკაცობა და ხალასად, ყოველგვარი თამამის გარეშე მიეცათ ხმა“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პარლამენტმა კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი 135 ხმით არცერთის წინააღმდეგ პირველი და მეორე მოსმენით მიიღო. საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე, უმცირესობამ მოითხოვა, რომ სარეიტინგო კენჭისყრა ჩატარებულიყო. სარეიტინგო კენჭისყრის შედეგად 93 მხარდამჭერი და არცერთი წინააღმდეგი გამოვლინდა.

# აქციის მონაწილეების თქმით, არაბები სანიორეში სოფელს აშენებენ

თელავის რაიონის სოფელ სანიორეს მაცხოვრებლები კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწების არაბებზე უკანონოდ გასხვისებას აპროტესტებენ. ადგილობრივების თქმით, 2011 წელს, ხელისუფლებამ სოფელ სანიორესა და ჯულაანში, მოსახლეობის კუთვნილი 17 ჰექტარი მიწის ნაკვეთი არაბულ კომპანია „ჯი ჰერვიდაოზი“ გაასხვისა, სადაც არაბები სახლებს აშენებენ.

ტერიტორიაზე ტურისტული ცენტრი უნდა აშენებულიყო, თუმცა სანიორეს მაცხოვრებლები ვარაუდობენ, რომ ცენტრის ნაცვლად არაბული სოფელი შენდება.

„აქ უნდა აშენებულიყო დიდი ტურისტული ცენტრი, უნდა დასაქმებულიყვნენ ადგილობრივები, მაგრამ ტურისტული ცენტრის ნაცვლად საცხოვრებელი სახლები შენდება, იქიდან ხალხის ჩამოყვანას და აქ დასახლებას აპირებენ,“ — აცხადებს სანიორეში მცხოვრები რამინ მელიქიშვილი.

„მინა რომ უნდა დაგვემუშავებინა და გადმოვედით ნაკვეთში, მითხრეს, ეს ნაკვეთები გაყიდულიაო. გამიკვირდა, როგორ მეთქი. თან ჯერ გადასახადი აკრიფეს და მერე გვითხრეს, რომ გაყიდულია. ამის მეტი მინის ნაკვეთი არ გვაქვს,“ — ამბობს ადგილობრივი ლამარა გრიგოლიანი.

კომპანიის მენეჯერის განმარტებით, მოსახლეობის ბრალდება უსაფუძვლოა და არაბების მასობრივად ჩამოსახლება არ იგეგმება. მისი თქმით, ტერიტორიაზე ტურისტული ცენტრი შენდება.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ ყურაშვილის ინფორმაციით, მიწები უკანონოდ გასხვისდა და სახელმწიფოებრივი პირობების დარღვევის გამო სამართალდამცავებმა მოკვლევა დაიწყეს.

# ავტოავარიის მსხვერპლი მოჭყვა

ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა სიღნაღის რაიონში. დედოფლისწყარო-თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე სწრაფად მოძრაი ავტომანქანების შეჯახებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში მცხოვრები 55 წლის მარინა ბალაშვილი-ჯინაშვილი ემსხვერპლა. უბედურ შემთხვევას გაზეთი „შირაქი“ შეესწრო.

როგორც სოფელ არბოშიკში აცხადებენ, ქალბატონი თბილისში მიემგზავრებოდა. ავტოავარიის შედეგად სხვა მგზავრებს სხეულის სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ.

# დედოფლისწყაროს რომელ მაღაზიებშია შესაძლებელი სასოფლო-სამეურნეო ბარათების განაღდება

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იმ მაღაზიების სია გამოაქვეყნა, სადაც სასოფლო-სამეურნეო ბარათების განაღდება შესაძლებელია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ამ ტიპის 9 სავაჭრო ობიექტია რეგისტრირებული. მაღაზიები მდებარეობს როგორც ქალაქ დედოფლისწყაროში, ისე მის რამდენიმე სოფელში.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გლეხებმა და ფერმერებმა მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე უნდა შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი და მათთვის სასურველი ინვენტარი.

სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფერმერებს საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, შეუძლიათ ნომინალური ბარათის განაღდება სასოფლო-სამეურნეო საქონელზე და ინვენტარზე ამ სიაში არსებულ ნებისმიერ მაღაზიაში.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის საგაზაფხულო პროგრამით განსაზღვრული „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში ფერმერები მთელი საქართველოს მასშტაბით მიიღებენ ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათებს.

დედოფლისწყაროში მდებარე მაღაზიების სუსხა:

- შპს „საბა“ — ქ. დედოფლისწყარო, ბარათაშვილის №2 შპს „აგროქიზი“ — ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის №24
- შპს „ლუკ-აგრო“ — ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის №113
- შპს „კოსად სემანს ჯორჯია“ — ქ. დედოფლისწყარო, თავისუფლების №35
- ი/მ ზურაბ თეთვაძე — ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის №155
- ი/მ თემურ ბენაშვილი — დედოფლისწყარო, სოფელი ხორნაბუჯი, მეგობრობის №55
- ი/მ ზაქარია ნარინდოშვილი — დედოფლისწყარო, სოფელი ახლოსკალი
- ი/მ ბესიკ ქავთარაძე — დედოფლისწყარო, სოფელი ზემო ქედი
- ი/მ ბესიკ ქავთარაძე — დედოფლისწყარო, სოფელი არხლოსკალი.

სამინისტროში სპეციალურად შეიქმნა ცხელი ხაზი. დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ცხელ ხაზზე: 2 47 01 01

ილია მარტყოფლიშვილი

# სოციალისტების მასობრივი საპროტესტო აქცია დაიწყო

15 მარტს დავით კირვალიძე რეგიონული მემბრის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე რეგიონალური პრესის, რადიოსა და ტელევიზიების ჟურნალისტებს საქართველოს მთავრობის „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის“ პროექტის მიმდინარეობა დეტალურად გააცნეს. მინისტრთან შეხვედრას დედოფლისწყაროდან გაზეთი „შირაქი“ ესწრებოდა.

მედიის წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიისა და სამომავლო პროექტების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია სამინისტროს ხელმძღვანელებმა პირადად მიანიჭა. დავით კირვალიძის განცხადებით, საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში ადრე გაცილებით უკეთესი ვითარება იყო, ვიდრე ახლა.

„ჩემი წინა მინისტრობის დროს, ანუ 2000 წელს, გაცილებით უკეთეს ვითარებაში ვიყავით, ვიდრე ახლა. სვიმონიშვილმა და დანარჩენებმა სულ გააჩანაგეს ეს სფერო. სამართლიანი იყო წინა ხელისუფლების მიდგომა, როცა სამინისტროში მელიორაციის დეპარტამენტი მთლიანად გააუქმეს?!“. ეს ხომ წარმოუდგენელია, მელიორაცია არ მუშაობდა და ამაზე უარს ვამბობდეთ,“ — აღნიშნა მინისტრმა.

მინისტრმა განმარტა, რომ საგაზაფხულო სამუშაოების მასშტაბურ პროექტს მთლიანად ფონდი „ქართუ“ აფინანსებს და მასზე 185 მილიონი ლარი დაიხარჯება. კირვალიძის მტკიცებით, მინის დამუშავების პროცესში სახელმწიფოს კუთვნილი 200 ჰექტარი ჩაერთო, 200 ერთეულიც კერძო სექტორიდან დაქირავებული ტექნიკაა. მინისტრი ამბობს, რომ პროგრამის ამუშავებისას საქართველოში მინის ნაკვეთების 25% უკვე დამუშავებული იყო და მათი ბარათები გაიცვალა.

„ხორბალთან დაკავშირებით ძალიან მასშტაბურ სამომდგომო პროგრამას ვგეგმავთ. ჩვენს ქვეყანაში ხორბალი თითქმის აღარ

ითესება. დღეს საქართველო მხოლოდ 1 თვის მარაგს აწარმოებს, დანარჩენი წელი მთლიანად იმპორტზე უკავია. არადა, ხორბლის მოთხოვნა გაიზარდა, გაზრდილია ფასიც. ცნობისთვის, 2001 წელს საქართველოში 330 000 ტონა ხორბალი იწარმოებოდა. მიმდინარეობს კულტურას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ და უახლოეს თვეებში დაიწყება კიდეც, მართლაც სერიოზულ ნაბიჯებს ვგეგმავთ ამ მიმართულებით.

რაც შეეხება მიწების გასხვისებას, 12 000 ჰა მიწა გაიყიდა კახეთში, ხოლო მთლიანად ქვეყანაში 32 ათასი. თუმცა, ეს მიწები სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად კერძო სექტორმა გაასხვი-

# ყოველთვის ქართულ პროდუქტს ვყიდულობ! გულს სიამოვნებს, როცა ვხედავ აბრას „დედოფლისწყაროს ნატურალური რძის პროდუქტები“

სა. როგორც ცნობილია, ბარათებით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის შექმნა ქვეყნის მასშტაბით გახსნილ მაღაზიებში იქნება შესაძლებელი. ამ პროგრამაში ჩართვის სურვილი 350-ზე მეტმა მაღაზიამ გამოთქვა და ისინი უკვე დარეგისტრირდა. ამათგან 200 მაღაზია კახეთის რეგიონში მუშაობს.

სოფლად უნდა მომრავლდეს სასოფლო-სამეურნეო სასაწარმოოები. ვფიქრობ, კაჭრეთის პროდუქტული სწავლების ცენტრი საუკეთესო მაგალითია. აუცილებელია ამ მიმართულებითაც ვიმუშაოთ. გულწრფელად გითხრათ, ყოველთვის ქართულ პროდუქტს ვყიდულობ, შესაძლოა, იმპორტული გაცილებით ხარისხიანია, მაგრამ უპირატესობას მაინც ქართულ წარმოებას ვანიჭებ ხოლმე. გულს სიამოვნებს, როდესაც თბილისში ვხედავ აბრას, წარწერით

გარემოში გასაუბრების საშუალებაა მ ი ე ც ა თ . შეხვედრის დასრულების შემდეგ კი მინისტრმა კომენტარი გააკეთა. „ჩვენ დეტალურად გაცანიეთ ყ უ რ ნ ა -



ილია მარტყოფლიშვილი

# „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფლის საერთო კრებები ტარდება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის გამოყენების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სოფლის საერთო კრებები ტარდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, გამგებლის მოადგილე ნიკოლოზ ხუციშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი, მუნიცი-

პალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები სოფელ ოზაანს ესტუმრნენ, სადაც სოფლის საერთო კრების ჩასატარებლად მოსახლეობა სპორტულ მოედანზე შეიკრიბა. ოზაანელებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს საკუთარი სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ-საჭიროებათა შესახებ ინფორმაცია მიანოდეს. დასახელებული პრიორიტეტებიდან საბოლოოდ სამი პროექტი შეირჩა: საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები,

წყაროს სათავის შერემონტება და საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის სანიაღვრე არხის მოწყობა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოსახლეობასთან საუბარში განაცხადა, რომ პროექტის მიღმა დარჩენილი სოფლისათვის აუცილებელი სამუშაოების დაფინანსება, შესაძლოა, ეტაპობრივად ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც მოხდეს.

ოზაანში ვიზიტისას ირაკლი შიოლაშვილი და ლევან ნატროშვილი სოფლის ამბულატორიასაც ესტუმრნენ, სადაც მუნიციპალიტეტის გამგეობისა და „ნითელი ჯვრის“ ერთობლივი საქველმოქმედო აქცია მიმდინარეობს.



საკუთარი არჩევანი თავწყაროს თემსაც გააკეთა. თემის უმრავლესობამ პრიორიტეტად რკინიგზაზე გადასასვლელი გზის შეკეთება დაასახელა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სოფელზე გამოყოფილი თანხის ეფექტურად დახარჯვაზე სოფლისა და მუ-

ნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად გამარჯვებულებმაც იმსჯელეს. არაერთი მოუგვარებელი პრობლემის მიუხედავად, კუთვნილი 32 ათასი ლარის დახარჯვა მათ შიდა გზების მოხრეშვა-მოგრეიდერებაზე გადაწყვიტეს.

გამარჯვებულები კმაყოფილებით შეხვდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივას გამარჯვებაში დასუფთავების აქციის მოწყობასთან დაკავშირებით, რომელსაც

მუნიციპალიტეტის გამგებელიც დაესწრება. აქციის ფარგლებში სოფლის ის ადგილები დასუფთავდება, რომლებსაც ნაგვის მანქანის არარსებობის პირობებში სოფლის მოსახლეობა ნაგავსაყრელად იყენებდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფლის საერთო კრებების ჩატარება გაგრძელდება და ის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელსა და თემს მოიცავს.

გამამომის პრესამსახური

## რატომ უბრუნდება ხალხი ენამთის ვენახებს?

წლებია, ენამთისკენ მიმავალ გზას, რომელსაც მარტო სახელია შერჩა, თორემ ფაქტიურად დახვეწილი დაღმართილა იყო, სამრეკლოელები შიშითა და კანკალით გაუყვებოდნენ ხოლმე. ჩასვლას კიდევ რა უშავდა, ამოსვლა იყო უფრო გაძნელებული, თუ, მით უმეტეს, ნეიმა მოგისწრებდა. სხვა ბევრ რამესთან ერთად

„გრეიდერით“ გასწორდა, მერე მოიხრება და მოიტკეპნა. ისე რომ, საგაზაფხულო სამუშაოებისთვის ხალხს აღდგენილი გზა დახვდა, - განმარტა ჩვენთან საუბარში გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში დავით ფხოველიშ-

ბის გამოსაკვეთად ხალხი კიდევ ერთხელ შეიკრიბება და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად გადაწყვეტთ, რას და როგორ გაავანდინოთ ეს ფული, - თქვა ჩვენთან საუბრისას გამგეობის რწმუნებულებმა სოფელ სამრეკლოში ლელა ზვიადაურმა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ენამთის ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ მოგვარებას საჭიროებს, ეს არის იმ ფერმების არსებობა, რომელსაც არა აქვს საძოვარი და ჰყავს წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი და რომელსაც აძოვებს ვენახებში. ამის არაერთი ფაქტია. მევენახეები არაერთხელ შესულან კონფლიქტში იმ მწყემსებთან, რომლებიც თვითნებობენ და არ ეპუბიან მოსახლეობის კანონიერ მოთხოვნას - იქ, სადაც არ არის საძოვარი, არ უნდა იყოს საქონელი. კოლმეურნეობის პირობებში ამ ფერმებში, რომელთა ოფიციალური მფლობელები დღეს ქართველები არიან, მაგრამ დამქირავებლები აზერბაიჯანელი ეროვნების ადამიანები, საქონელი ნამდვილად იდგა, მაგრამ აქ, ძირითადად, სასუქი ბრიგადები იყო, ბაგურ კვებაზე ჰყავდათ, გარეთ არ უშვებდნენ და, ამდენად, საძოვრებიც არ სჭირდებოდათ. დღეს აქ აზერბაიჯანელებს ჰყავთ ცხვარიც და ძროხაც, რომელიც ზამთარზაფხულ აქ ბინადრობს და საძოვრის გარეშე დარჩენილები საქონელს ვენახებში უშვებენ. ეს კი მევენახეთა კანონიერ აღმოფხვრებას იწვევს. ესეც კიდევ ერთი მიზეზი გახლავთ იმისა, რომ ხალხმა ვენახები მიატოვა.

სამუშაოს. ბოლო წლებში ერთი ადამიანის თემო ლეკაშვილის კეთილ ნებაზე იყო მხოლოდ დამოკიდებული სახნავ-საფარცხი თუ სანამლი აპარატის მუშაობა. ისიც ძალასა და ენერჯიას არ ზოგავდა, მაგრამ მოძველებული ტექნიკით ჭირდა სასურველი შედეგების მიღწევა. ახლა შპს „მექანიზატორმა“ შემოიყვანა ახალი ტრაქტორი და მასზე მისაბმელი ტექნიკა, რომელიც მოემსახურება ამ ტერიტორიაზე განთავსებულ ვენახებს.

ამას ისიც ემატება, რომ ჩვენი ქვეყნის ახალი ხელისუფლება აგვარებს საჯარო ურთიერთობას რუსეთთან, რომელიც დიდი ბაზარია ქართული მეღვინეობისათვის. ეს კი ამ დარგს პერპეტუისაკენ უხსნის გზას და ქართველ მევენახეს სჯერა, რომ ყურძენიც, ქართული ღვინო და არაფერც სათანადო ღირებულებას მიაღწევს და არ დარჩება მხოლოდ 10 და 15 თეთრი სამთავრობო სუბსიდიის ანაბარა.

ჩადგა. მათ არ აქვთ საძოვარი. ამან გამოიწვია ქარსაფარი ზოლების გაჩანაგება, ნათესების დაზიანება, უნებართვო ძოვებები და სხვა. საკითხი იმის თაობაზე, რომ სადაც საძოვარი არ არის, იქ არ შეიძლება იყოს საქონელი, არაერთგზის დამდგარა რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე. იყო ნაწილობრივი მცდელობებიც ამ პრობლემებისგან თავის დაღწევისა, მაგრამ მდგომარეობა დღემდე დაურეგულირებელია. როგორც გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოლომონ ღორაშვილმა განაცხადა, მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკრებულოში შეიტანა პროექტი ამ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულო, იმედია, უახლოეს სხდომაზე განიხილავს და დაამტკიცებს პროექტს, რომელიც სწორედ იმ, ეგრეთწოდებულ „ფერმების“ დემონტაჟს და გადატანას გულისხმობს, სადაც საძოვარი არ არის. იქიდან საქონლის გაყვანის პროცესს განახორციელებს სპეციალური კომისია, რომელსაც სახელმძღვანელოდ ექნება სწორედ ის დადგენილება, რომელსაც საკრებულო მიიღებს. საჭიროების დროს პროცესში ჩაერთვება პოლიცია, ამ კომისიის მუშაობა იქნება უკომპრომისო და შედეგებზე ორიენტირებული.



უგზობაც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხალხმა იქ ვენახებს თავი დაანება, იქაურობა ანაოხრდა. გზის შეკეთების საკითხს მოსახლეობა მთავრობის წარმომადგენლობასთან ყველა შეხვედრისას აყენებდა, მაგრამ არავინ თაობდა. ხშირად ასეთ პასუხსაც აძლევდნენ: - ამ გზით ვენახების კერძო მფლობელები სარგებლობთ, გზა თქვენ გჭირდებათ და თქვენი ხარჯებით გააკეთეთ.

საპარლამენტო არჩევნების წინ ერთ-ერთი მორიგი შეხვედრისასაც, რომელსაც რესპუბლიკის ხელმძღვანელ პირებთან ერთად რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობაც ესწრებოდა, კვლავ დადგა ენამთისკენ მიმავალი გზის საკითხი. მაშინ ხალხმა დაპირება მიიღო, მაგრამ რთველმაც ისე ჩაიარა სექტემბერში, დააპირებდა არავის გახსენებია და გზა ისევ ისეთ მდგომარეობაში იყო.

- ეს გზა 2012 წლის შემოდგომაზე, ცოტა მოგვიანებით გაკეთდა მუნიციპალიტეტის ხარჯებით და ის სადაც 45 ათას ლარამდე დაჯდა. ჯერ

ვიღმა.

- მართლაც კარგი საქმე გაკეთდა. ხალხი ძალიან კმაყოფილი და მადლიერია. ახლა თუ მადლს მართლაც მოაყრიან და გზის იმ მონაკვეთსაც ეშველება რამე, რომელიც სოფელში ენამთისკენ მიმავალ გზას უერთდება და რომელიც ძალიან გაფუჭებულია, ეს პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება. ეს საკითხი შაბათს, 16 მარტს სოფლის მოსახლეობის შეკრებაზეც დაისვა. სხვა ბევრი საკითხიცაა მოსაგვარებელი სოფელში. სოფლის განვითარების პროგრამით 57 ათასი ლარი გამოგვეყო. არადა, საბავშვო ბაღსაც მიხედვა უნდა, ნაგავსაყრელიც აუცილებელია, ხალხი გარე განათებასაც ითხოვს, ჩვენ კი კულტურის სახლში ერთი ოთახი გვაქვს სულ გამოყოფილი, მაშინ როცა კაპიტალური ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის შემთხვევაში საკრებულოს საკუთარი ფართი ექნება. გზები სხვა უზნებშიც შესაკეთებელია; ისე რომ, ეს 57 ათასი ლარი ყველაფერს ვერ გასწვდება. პრიორიტეტე-

ბის გამოსაკვეთად ხალხი კიდევ ერთხელ შეიკრიბება და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად გადაწყვეტთ, რას და როგორ გაავანდინოთ ეს ფული, - თქვა ჩვენთან საუბრისას გამგეობის რწმუნებულებმა სოფელ სამრეკლოში ლელა ზვიადაურმა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ენამთის ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ მოგვარებას საჭიროებს, ეს არის იმ ფერმების არსებობა, რომელსაც არა აქვს საძოვარი და ჰყავს წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი და რომელსაც აძოვებს ვენახებში. ამის არაერთი ფაქტია. მევენახეები არაერთხელ შესულან კონფლიქტში იმ მწყემსებთან, რომლებიც თვითნებობენ და არ ეპუბიან მოსახლეობის კანონიერ მოთხოვნას - იქ, სადაც არ არის საძოვარი, არ უნდა იყოს საქონელი. კოლმეურნეობის პირობებში ამ ფერმებში, რომელთა ოფიციალური მფლობელები დღეს ქართველები არიან, მაგრამ დამქირავებლები აზერბაიჯანელი ეროვნების ადამიანები, საქონელი ნამდვილად იდგა, მაგრამ აქ, ძირითადად, სასუქი ბრიგადები იყო, ბაგურ კვებაზე ჰყავდათ, გარეთ არ უშვებდნენ და, ამდენად, საძოვრებიც არ სჭირდებოდათ. დღეს აქ აზერბაიჯანელებს ჰყავთ ცხვარიც და ძროხაც, რომელიც ზამთარზაფხულ აქ ბინადრობს და საძოვრის გარეშე დარჩენილები საქონელს ვენახებში უშვებენ. ეს კი მევენახეთა კანონიერ აღმოფხვრებას იწვევს. ესეც კიდევ ერთი მიზეზი გახლავთ იმისა, რომ ხალხმა ვენახები მიატოვა.

ვენახების მიტოვების კიდევ ერთი მიზეზთაგანია ისიც, რომ ახლა იყო ტექნიკა, კერძოდ სახნავი ტრაქტორი და გუთანი, რომელიც აქ ხარისხიანად ჩაატარებდა



სწორედ ამიტომ შემობრუნდა ხალხიც ვენახებისკენ. ვინც ამ დღეებში ენამთაში ყოფილა, ნახავდა, რომ გაუსხლავი არ რჩება არც ერთი მტკაველი ვენახი, მიტოვებული ვენახების აღდგენა მიმდინარეობს. ფასი დაედო ვენახს, რაც, თავისთავად, კარგი ფაქტია.

აქვე ვიტყვით ერთი გარემოების შესახებაც: ის ფაქტი, რომ მთელი რაიონის ტერიტორიაზე, სადაც კი ერთი სატრაქტორო თუ მემინდვრეობის საბრიგადო სახლები იდგა, ანდა მელორეობის ბრიგადები იყო, სულ მსხვილფეხა საქონელი

ჩადგა. მათ არ აქვთ საძოვარი. ამან გამოიწვია ქარსაფარი ზოლების გაჩანაგება, ნათესების დაზიანება, უნებართვო ძოვებები და სხვა. საკითხი იმის თაობაზე, რომ სადაც საძოვარი არ არის, იქ არ შეიძლება იყოს საქონელი, არაერთგზის დამდგარა რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე. იყო ნაწილობრივი მცდელობებიც ამ პრობლემებისგან თავის დაღწევისა, მაგრამ მდგომარეობა დღემდე დაურეგულირებელია. როგორც გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოლომონ ღორაშვილმა განაცხადა, მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკრებულოში შეიტანა პროექტი ამ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულო, იმედია, უახლოეს სხდომაზე განიხილავს და დაამტკიცებს პროექტს, რომელიც სწორედ იმ, ეგრეთწოდებულ „ფერმების“ დემონტაჟს და გადატანას გულისხმობს, სადაც საძოვარი არ არის. იქიდან საქონლის გაყვანის პროცესს განახორციელებს სპეციალური კომისია, რომელსაც სახელმძღვანელოდ ექნება სწორედ ის დადგენილება, რომელსაც საკრებულო მიიღებს. საჭიროების დროს პროცესში ჩაერთვება პოლიცია, ამ კომისიის მუშაობა იქნება უკომპრომისო და შედეგებზე ორიენტირებული.

აღნიშნული დადგენილება შეეხება ენამთის ტერიტორიასაც, რაც უფრო მეტ სტიმულს მისცემს მევენახეებს, ალაღვიონონ მიტოვებული ვენახები.

ნაირა გორაშვილი



# პრემიერ ივანიშვილის პასუხი გახეთ „შირაქს“

## როდის გაიხსნება ჰერეთთან დამაკავშირებელი ხიდი?

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი რეგიონული მედიასაშუალებების წარმომადგენლებს 14 მარტს შეხვდა. შეხვედრა „ექსპო ჯორჯიას“ საგამოფენო პავილიონში გაიმართა, 4 საათის განმავლობაში გრძელდებოდა და ყველა ქართული ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გადაცემოდა. ივანიშვილმა რეგიონული მედიის 50-მდე წარმომადგენლის კითხვას პრემიერ-მინისტრის რანგში პირველად უპასუხა. ამ მნიშვნელოვან შეხვედრაზე გახეთი „შირაქი“ იყო მინველი.

პრემიერი დარბაზში პირდაპირ ეთერის დაწყებამდე 10 წუთით ადრე შემოვიდა, ხელს გვართმევს, გვიღიმი და რეგიონული მედიის დიდ როლზე გვესაუბრება. მოგვიწოდებს, თავისუფლად ვიგონოთ თავი და ვიპქტიუროთ. პირობას დებს, რომ ამგვარი შეხვედრები ამიერიდან ინტენსიურ ხასიათს შეიძენს. მაღლობს გვიხდის და აღნიშნავს, რომ წინასწარჩვენი პერიოდში რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტებმა მართლაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

პრესკონფერენციაზე დასასწრებად, თბილისში ჩასვლამდე ჩვენთვის იმის პირობა არავის მოუცია, რომ კითხვის დასმას ყველა ჟურნალისტი მოახერხებდა. არსებობდა ალბათობა, რომ სხვა პრესკონფერენციების მსგავსად, ამჯერადაც არაერთი ჟურნალისტი დარჩებოდა მიკროფონთან მიუსვლელები. თუმცა, ჩემდა გასაკვირად, ერთ-ერთი პირველი, რაც ივანიშვილმა დარბაზში შემოსვლისას აღნიშნა იყო ის, რომ კითხვის დასმას ყველა მათგანი შეეძლებოდა: „რადგან სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოხვედით და ამხელა გზა გამოიარეთ, ყველა თქვენგანის კითხვას ვუპასუხებ. თქვენთან შეხვედრის შემდეგ მნიშვნელოვანი შეხვედრები აღარ დამიგეგმავს, რომ რა დროც დაგჭირდებათ, იმდენი დაგთმობთ. უხერხულია, რომ ვინმემ კითხვის დასმა ვერ შეძლოს. ახლავე იცოდეთ, არსად მეჩქარება და ბოლომდე თქვენთან დავრჩები.“ - დაგვაიმედა პრემიერმა.

არაოფიციალურ გარემოში პრემიერმინისტრს ვთხოვეთ, რომ რეგიონულ მედიასთან მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებმა და ხელისუფლების ცალკეულმა მაღალჩინოსნებმააც აქტიურად ითანამშრომლონ. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ივანიშვილი ამ მოსა-

ში მიეცა. მისი პრესსპიკერის, მანანა თოქმაჯიშვილის მითითების თანახმად, ილია მარტყოფილიშვილი სიაში მეცამეტე ნომრად იყო ჩანერილი. ამ ციფრმა ცოტა დამაბნია, თუმცა, რაკი ძალზე საჭიროებოდა საკითხი იყო, კითხვა მაინც დავსვი. ვითარების სრულად გადმოსაცემად შეკითხვა ცოტა ვრცელი გამოვიდა, რის გამოც რამდენჯერმე გამაწყვეტინეს კიდევ, თუმცა, ჩანდა რომ საბოლოო ვაგამში პრემიერ-მინისტრი საკითხით დაინტერესდა.

- ბატონო პრემიერო, დედოფლისწყაროს მოსახლეობა უკვე რამდენიმე წელია აზურბაიჯანთან დამაკავშირებელი ხიდის გახსნას ითხოვს. სოფელ სამთაწყაროს ხიდი 7 წლის წინ ჩაიკეტა, მიზეზად მისი ამორტიზებულიობა დასახელდა და ითქვა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. ამ დრომდე იქ არანაირი სამუშაო არ მიმდინარეობს, თუმცა არც ხიდი გახსნილა. მხოლოდ ერთხელ გაიხსნა 2008 წელს, ისიც წინასწარჩვენი, ამომრჩევლის გულის მოსაგებად. მიმოსვლის აღდგენას ადგილობრივებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, რადგან ამ სოფელში ცხოვრობენ საინგილოდ გადმოსახლებული ჰერები და აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები და ისტორიულ ჰერეთს ამ ხიდით უკავშირდებოდნენ. ისინი მეზობელი ქვეყნიდან სანავის და საკვები პროდუქტების იაფად შემოტანას ახერხებდნენ, ახლობლების და წინაპართა საფლავების მოსანახულებლად გადადიოდნენ. ახლა კი მიმოსვლა აკრძალულია. თავის დროზე ხიდის ჩაკეტვა პეტრე ცისკარიშვილის ბიზნესინტერესებს დაუკავშირეს, ის ამ პერიოდში კახეთის გუბერნატორი გახლდათ. თქვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და მანამდეც ამ ხიდის გახსნის მოთხოვნით არაერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. რამდენჯერმე ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ადგილზე სპეცრაზმის ჩაყვანა გახდა საჭირო. ამ სოფლებში არ არის ქრისტიანული ტაძარი და მათ კახის ქურმუხის ტაძარში უხდებოდათ მიმოსვლა. მოსახლეობას აინტერესებს, გაიხსნება თუ არა ეს ხიდი, რომ არ განყდეს კავშირი ისტორიულ ჰერეთთან.

- ფეიქრობ, მოგვარებადია ეს პრობლემა... გაკეთდება ხიდი, გარწმუნებთ... და-

ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დიდი თანხა გამოიყო და მე მგონია, რომ ამ ხიდის პრობლემა ალარ იქნება. მე მგონი, დადებითად გადაწყდება ეს საკითხი. თქვენი შეკითხვის გარეშეც, ალბათ, გეგმაში იქნებოდა. თუ საკითხი ასეთი აქტუალურია, მე ვიკითხავ და დარწმუნებული ვარ, სამინისტროს გეგმაში ექნებოდა.

- არა, წელს არ გახლავთ გეგმაში...

- არ არის ხიდი გეგმაში? თქვენ გინახავთ?

- დიახ, წელს არ იგეგმება.

- კარგით, დავინტერესდები აუცილებლად და იქნებ მოვახერხოთ...

- თუმცა, რეაბილიტაციის გარეშე შესაძლებელია ხიდის გახსნა მოხერხდეს, არც ისე ცუდ მდგომარეობაშია.

- პოლიტიკურად არის დაბლოკილი?

- კი, პოლიტიკური ნება არ იყო და ეს მოტივი არაერთხელ დასახელდა, რადგან სანავის იაფად შემოტანა ხდებოდა. ამაზე პრესა ხშირად წერდა...

- არ შეიძლება, ამისთვის ხიდი ხომ არ უნდა დავეკეთოთ...

- რეაბილიტაციის გარეშე შესაძლებელია მიმოსვლა აღდგეს...

- გასაგებია, აუცილებლად დავინტერესდები... დიდი მაღლობა!

\* \* \*  
რეგიონული მედიის წარმომადგენლებმა პრემიერთან წუხილი გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, რომ რეგიონის სხვადასხვა ბეჭდვითი გამოცემები დედაქალაქში მოქმედ სახელმწიფო სტრუქტურებში არ მიდის, ეს კი ხელისუფლებას უკარგავს შესაძლებლობას, რეგიონების ცხოვრების პულსზე ხელი ედოს და მის მაჯისცემას მუდმივად გრძნობდეს. პრემიერი ივანიშვილი საკითხით დაინტერესდა და იმის გარკვევა სცადა, რას გულისხმობდნენ ჟურნალისტები. მედიამ განმარტა, რომ რეგიონულ პრესაში გამოქვეყნებულ მნიშვნელოვან მასალებზე რეაგირება ნაკლებად ხდება და კარგი იქნება, თუ ხელისუფლება ამ მხრივ არსებულ ვითარებას გამოასწორებს. ბიძინა ივანიშვილი პირობას დებს, რომ საკუთარ პრესსამსახურში წარმომადგენლების რიცხვს გაზრდის და უფრო მეტიც, იზა-



ნიშპილი აპირებს ამიერიდან პრესკონფერენციებს მოსთხოვოს, რამდენიმე პრესკონფერენცია მოაზრებდა და პრემიერს ყოველკვირაულად გააუწყობს.

ამხელა რანგის სახელმწიფო მოღვაწის პრესკონფერენციაზე 12 წლიანი ჟურნალისტიკური საქმიანობის მიუხედავად, პირველად მოხვდები. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ პრემიერის პრესცენტრიდან, რეგისტრაციის გასაველელად თავად დაგვიკავშირდნენ და მონაწილეობა საკუთარი სურვილით შემოგვთავაზეს. ამ დრომდე, როგორც წესი, მედიასაშუალებებს საგანგებოდ არჩევდნენ, პატარა რაიონები და გაზეთები კი არავის ასხენდებოდა. ამიტომ, „შირაქმა“ და სხვა რაიონულმა გამოცემებმა პრემიერის ეს ჟესტი დადებითად შეაფასეს და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს.

შეხვედრის დაწყებამდე რატომღაც მეგონა, რომ პრემიერის პრესცენტრიდან რომელიმე წარმომადგენელი უდაოდ დაინტერესდებოდა, რა შინაარსის კითხვის დასმას ვაპირებდით პირდაპირ ეთერის მსვლელობისას. ჩემდა გასაკვირად, არც ჩემი კითხვა შემითანხმებია ვინმესთვის და არც სხვა კოლეგებს გაუვლიათ ე.წ. „ცენზურა“. ამ რანგის შეხვედრაზე ასეთი თავისუფლება მოულოდნელი იყო ჩვენთვის. ერთადერთი შეზღუდვა იყო ის, რომ თითო კითხვა დაგვესვა და რიგობა დაგვეცვა, თუმცა, ჟურნალისტთა დიდი ნაწილი ერთი კითხვით არ შემოფარგლულა.

ილია მარტყოფილიშვილი



ზრებას იზიარებს და ამ მიმართულებით ცალკეული ნაბიჯების გადადგმასაც გეგმავს. გახეთ „შირაქს“ ბიძინა ივანიშვილისთვის კითხვის დასმის საშუალება მესამე ხუთეულ-

საწყისში ვსაუბრობდი, რომ წელს გაცილებით მეტი თანხები გამოიყო. მე ჩაიხივრ და დავით ნარმანიას აუცილებლად მივცემ თქვენს შეკითხვას კონკრეტულად დედოფლისწყაროზე.

# მაჟორიტარი და იმედგაცრუებული მოსახლეობა

ოქტომბრის არჩევნებმა ჩაიარა და დედოფლისწყაროელებმა საოცრად პარადოქსული შედეგი მივიღეთ: - გამარჯვებული „ქართული ოცნება“ და ვინ იცის, რა გზებით ნაგებული მისი კანდიდატი და პიროქიტი, - დამარცხებული ნაციონალები და „გამარჯვებული“ მათი მაჟორიტარობის კანდიდატი. რეალურად გაჭირვებულმა ხალხმა აღარ იცის, ვის მიმართოს, უმოქმედო და არაფრის მომტან გამარჯვებულ მაჟორიტარს ზაზა კედელაშვილს, თუ „ოცნების“ მაჟორიტარობის ყოფილ კანდიდატს, გულისხმიერ პარლამენტარს ალექსანდრე თამაზაშვილს?!- რაღა

თქმა უნდა, რომ მოსახლეობა ამ უკანასკნელს ამჯობინებს. ჯერ ერთი, რომ კედელაშვილს პოლიტიკოსად არავინ აღიქვამს და მეორეც - მის ქმედითუნარიანობაში ეჭვი სამართლიანად შეაქვთ, ამაზე ხალხიც საუბრობს -კედელაშვილი დღეს უფუნქციოა და ვერაფერს გაგვიკეთებს, რადგან თვით სააკაშვილია უფუნქციო და მას აღარავინ უსმენს, და რომც გაგვიკეთონ რამე, მათი დახმარება არც აღარავის უნდა, არც აღარავის სჯერა მათი! ისედაც მოჭყუებულნი ვართ, არჩევნების წინ მისი დაპირებები ირეალური აღმოჩნდა. მაგალითად „ქოჩების ტბაც“

გამოდგება“-ასეთია მოსახლეობის მოსაზრება. მართალია, მაჟორიტარულ არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ ალექსანდრე თამაზაშვილი პარტიული სიით მაინც გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი, ამდენად ხალხს მისი დიდი ნდობა აქვს და თავიანთი პრობლემის მოსაგვარებლად მასთან შეხვედრა ურჩევნიათ. კედელაშვილს კი ადგილობრივ ოფისში მიღებაზე ხალხის დეფიციტი აქვს. მოსახლეობის ნაწილი საკითხს ასე აყენებს, - „ვაქცია, რომ რაიონის მაჟორიტარი კედელაშვილია. სწორედ ისაა ვალდებული, ხალხს ანგარიში ჩააბა-

როს და წინასწარჩვენი დაპირებები ასრულოს. რატომ არ ასრულებს დანაპირებს? ხომ „გაიმარჯვა“, ხომ „გაიტანა“ თავისი, რაღას ელოდება, საკმარისი დრო გავიდა. სადაა ქოჩების ტბის ზღაპრულად გაკეთების დაპირებები, სადაა დედოფლისწყარო-სიღნაღის დამაკავშირებელი სამარშრუტო ხაზის მოწყობა, ზოდბის მონასტერთან დასაკავშირებლად რომ დაპირდა ხალხს?!- აცხადებს მოსახლეობა. - იმას ხომ ვერ იტყვის, რომ დეპუტატი ვერ გავცხდი და რას მოხვითო! გააკეთოს საქმე, ვინ უშლის? აღფრთოვებულია მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც, გამარჯვების შემთხვევაში, დედოფლისწყარო-სიღნაღის სამარშრუტო ხაზის საკუთარი სახსრებით დანიშვნას დაპირდა კედელაშვილი. ამ საკითხებზე თავად კედელაშვილს ვთხოვეთ კომენტარი სოციალური ქსელით. მისი პასუხი ასეთი გახლდათ - ქალბატონო ლალი,ჩემი სახსრებით დედოფლისწყარო-სიღნაღის სამარშრუტო ხაზის მოწყობა შეუძლებელია. ამ ეტაპზე გამგეობასთან კომუნიკაციის პრობლემაა, ალბათ დროებით. ეს გამგეობამ ხელისუფლებასთან შეთანხმებით უნდა გააკეთოს. ლალი მიხრიშვილი.

მსხვილფეხა პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება და პერსპექტივა საძარბოვლოში

ანოტაცია
სტატიაში აღწერილია ხელოვნური განაყოფიერების ბიოლოგიური არსი და მეთოდები...

ხელოვნური განაყოფიერება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხარისხობრივი გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა...

ხელოვნური დათესვლით შესაძლებელი ხდება, ერთი კუროს სერში წლის მანძილზე 3-5 ათასი ფურის განაყოფიერება...

გარდა ამისა, სწორად ორგანიზებული ხელოვნური განაყოფიერება მნიშვნელოვანი ღონისძიებაა...

სერის განხატვისას და ძლიერ დაბალ ტემპერატურაზე გაყინვით კონსერვაციის თანამედროვე ტექნოლოგიამ შესაძლებელი გახდა...

ფურის ხელოვნური დათესვის გამოყენების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი უცვლელად არ ვლინდება...

მეძროხეობაში გამოყენება ხელოვნური განაყოფიერების 3 მეთოდია: რექტოცერვიკალიური, მანოცერვიკალიური და ვიზოცერვიკალიური...

ქტოცერვიკალიურად დათესლა ძროხეულის 49,1%, მანოცერვიკალიურად — 38,5%, ხოლო ვიზოცერვიკალიურად ანუ სარკის მეშვეობით, მხოლოდ 12,4%; ზოგადად კი, 2005 წელს ხელოვნურად განაყოფიერდა ძროხეულის 78%.

ცნობილია, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებში ფურების განაყოფიერება ხდება მხოლოდ ხელოვნური დათესვლით...

საქართველოში ასოციაცია „კავკასიის გენეტიკი“-ს პარტნიორები არიან შემდეგი კომპანიები: რძის მწარმოებელთა ეროვნული ასოციაცია (NMPA), უეთო (OSCE), GRM International, CHF, Care International, Mersy Corps, UMCOR.

2006-2010 წ. მანძილზე ასოციაციის უშუალო მონაწილეობით კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის მხარეებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაფუძნებულია თანამედროვე აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვილი ხელოვნური განაყოფიერების სერვის-ცენტრები...

2006 წელს დაფუძნდა ფურის ხელოვნური განაყოფიერების ასოციაცია „კავკასიის გენეტიკა“ რომელიც გაერთიანდნენ რძის სექტორის ექსპერტები, სელექციონერი მეცნიერები, ვეტერინარები და ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტები.


სიღნაღის რაიონში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური დახმარებით ასოციაცია „კავკასიის გენეტიკა“ შექმნა სანაშენე საქმისა და ხელოვნური განაყოფიერების ცენტრი...

ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სფეროში. ამ რამდენიმე წელიწადში „კავკასიის გენეტიკამ“ კავშირი დაამყარა ამერიკისა და ევროპის ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების ისეთ განთქმულ დიდ კომპანიებთან, როგორებიცაა „World Wide Sires“, „Accelerated Genetics“, „Select Sires Inc“ და სხვა...

ასოციაცია „კავკასიის გენეტიკა“ საქართველოში ეწევა შემდეგ საქმიანობას: ხელოვნური განაყოფიერების სერვისი, საკონსულტაციო მომსახურება (ტრენინგები, რეკომენდაციები და დახმარებები მეცხოველეობის სხვადასხვა საკითხებში), გენეტიკური მასალის (სერმა, ემბრიონი) და პირუტყვის იმპორტი ამერიკიდან და ევროპის ქვეყნებიდან; გარდა ამისა, ასოციაცია ფერმერებს სთავაზობს მალალი ხარისხის სხვადასხვა ზომის დოზარის ჭურჭელს თხევადი აზოტისათვის, რომელიც გაყინული სერმის შესანახად, მონაწილეობს და ინსტრუმენტებს ხელოვნური განაყოფიერებისათვის, ცხოველთა საინდენტიფიკაციო საყურეებს, ნომრის დასადებ მამებს და სხვა.

2006-2010 წ. მანძილზე ასოციაციის უშუალო მონაწილეობით კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის მხარეებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაფუძნებულია თანამედროვე აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვილი ხელოვნური განაყოფიერების სერვის-ცენტრები...

სიღნაღის რაიონში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური დახმარებით ასოციაცია „კავკასიის გენეტიკა“ შექმნა სანაშენე საქმისა და ხელოვნური განაყოფიერების ცენტრი...



ბის სადგომით, საცდელი ფურების ფერმით, ცხოველების სადემონსტრაციო მანუქით, საკონფერენციო დარბაზით, მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახებითა და სხვა. ლაბორატორია დამონტაჟებულია მსოფლიოში განთქმული გერმანული ფირმა „MINITUB“-ის აპარატურით. ფირმის სპეციალისტების დახმარებით, პირველად საქართველოში კავკასიის ქვეყნებში, მოხდა სერმის ალბა, პაიტებში დაფასოება და კრიოკონსერვაცია. ახლო მომავალში გამოეზრდით და სერმის ხარისხობრივ გამოცდაზე დაყვებით ჩვენში უკვე აპრობირებული და ადაპტირებული კულტურული ჯიშების (პოლშტინური, შავჭრელი, ამერიკული და ევროპული შვიცი, ჯერსული, კავკასიური ნაბლა). ამასთან ერთად ცენტრი, მათი გავრცელების რეგიონებში შეიძენს და ხარისხობრივ გამოცდაზე დააყენებს ქართული აბორიგენული ჯიშების - მერგული ნითელისა და კავკასიური მთის საქონლის ტიპურ საბულებს. ეს საშუალებას მოგვცემს უცხოეთიდან შემოტანილ სერმასთან ერთად, ჩვენც ვანარმოთ ადგილობრივი ჯიშების სანაშენე ღირებულების სერმას.

გარდა ამისა, „კავკასიის გენეტიკის“ სანაშენე საქმის და ხელოვნური განაყოფიერების ცენტრის პერსპექტიულ გეგმაში ჩადებული აქვს ფურების ხელოვნური განაყოფიერების სრულიად ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვა. ეს არის სერმის სექსობრივი შერჩევა ანუ „სექსირებული სერმის“ გამოყენება ხელოვნური განაყოფიერების პროცესში, რაც 90%-იანი ალბათობით უზრუნველყოფს მდედრობითი სქესის ნაბატის მიღებას.

ცნობისათვის, ეს ტექნოლოგია პირველად 2000 წელს ინგლისში დაინერგა და ეწოდება „გამდინარე ციტომეტრიის მეთოდით სერმის სექსობრივი გადარჩევა“. იგი დაფუძნებულია X და Y ქრომოსომების ფიზიკური მონაცემების განსხვავებაზე. დადგინდა, რომ X ქრომოსომა 3-4%-ით უფრო დიდი ზომისა და მასზე ლაზერის სხივის დასხივებით შესაძლებელია მჭიდროდ ელექტრონული მუხტის გადაცემა, ამიტომ მძლავრ ელექტრულ ველში ხდება „დამუხტულობა“ ქრომოსომების სეპარირება. ასეთი „სექსირებული სერმის“ გამოყენება განსაკუთრებით სასურველი იქნება იმ ფერმებში, სადაც სარძეო ჯიშის ფურები ჭყავთ და მალაპროდუქტიული მენეჯლი საქონლის სულადობის სწრაფი მატება ესაჭიროება.

პროდუქციის სამრეწველო დონეზე გავლის შემდეგ „კავკასიის გენეტიკის“ მიერ დამზადებული დოზირებული სერმა, სტანდარტისა და ეტიკეტების მიხედვით, შესაბამისობაში იქნება განვითარებული ქვეყნების პროდუქციასთან, ხოლო მისი სარეალიზაციო ფასი - ბევრად იაფი იმპორტულთან შედარებით. ახლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს, რომ ჩვენთან წარმოებული და იმპორტული სერმით განაყოფიერებული ძროხეულის წლიური საქარბელოში ფურების მთლიანი სულადობის 10%-მდე გავზარდოთ.

ცხოველთა გენეტიკური მასალების და ახალი ზაზრის მოპოვების მიზნით, დაიდება კონტრაქტები და ვითანამშრომლობა საზღვარგარეთი კავკასიის შესაბამის ორგანიზაციებთან, რაც მოგვცემს ჩვენთან წარმოებული დოზირებული სერმის უფრო დიდი ოდენობით წარმოების საშუალებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუ იქნება სახელმწიფოს კეთილი ნება და ფერმერების გვერდში დგომა, ხელოვნური განაყოფიერების როლი საქართველოს მეცხოველეობის სწრაფად განვითარებაში მნიშვნელოვნად გაიზრდება და ღირსეულ ადგილს დაიკავებს, როგორც მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებელ ყველა ქვეყანაში.

გ. მატარაშვილი - სოფლის მეურნეობის მეც. დოქტორი (ასოციაცია „კავკასიის გენეტიკის“ მენეჯერი)
გ. ხატიაშვილი - სოფლის მეურნეობის მეც. დოქტორი (ასოციაცია „კავკასიის გენეტიკის“ კონსულტანტი.)

აგრობიზი AGROQIZIKI
თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა!
პირველად დედოფლისწყაროში!
ასოციაციის პრემია - სიხალისე ქართულ ბაზარზე!

FARMERS.GE
ბელ: 599567131, 0356223100
აგრობიზი AGROQIZIKI
თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა!
ასოციაციის პრემია, ასოციაციის პრემია, ასოციაციის პრემია!



